ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი
N5

ქ. თბილისი; 5 დეკემბერი,2017 წ. 14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
დავით ჭელიძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
ლილე ლიპარტელიანი
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2017 წლის 29 ნოემბრის შესაბამისი განკარგულებებით გადაწყვიტა სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსა და ასევე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენა.

ბატონი **სერგოს** თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზემოხსენებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართებაში იგეგმება სტრუქტურული რეფორმები, რაც შინაარსობრივად გულისხმობს რეორგანიზაციის პროცესს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური დაიწყებს აღნიშნულ პროცესს.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** იქვე დასძინა, რომ აღნიშნული პროცესი გახლავთ პირველადი ეტაპი, როდესაც მოხდება რეორგანიზაციის დაიწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, ხოლო შემდგომ ეტაპზე, კანონით გათვალისწინებული პროცედურების ფარგლებში ასევე განხორციელდება ზემოთმოყვანილი იურიდიული პირების დებულებების საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხენებლის მიმართ დასვა შეკითხვა წარმოდგენილი რეორგანიზაციის საკითხის

მნიშვნელობის თაობაზე და დაინტერესდა რატომ არ არის წარმოდგენილი ჩამოთვლილი იურიდიული პირების დებულებები.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** ქალბატონი ლილეს საპასუხოდ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა, თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე მისი დებულების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული იურიდიული პირების რეორგანიზაციაზე თანხმობის მიღების შემდგომ, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ექნება სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ დაიწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებები, როგორიცაა: სტრუქტურაზე მუშაობა, თანამშრომლების გაფრთხილება მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ, ხოლო მას შემდგომ რაც "კარგი მმართველობის" (GoodGovernance) პრინციპის შესაბამისად ჩამოყალიბდება ახალი სტრუქტურა, მოხდება მისი დებულების საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ფრაქციის „ ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა და დაინტერესდა იგეგმება თუ არა მოსალოდნელი რეორგანიზაციის ფარგლებში საშტატო ერთეულების შემცირება.

ბატონმა **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ რეორგანიზაცია არ ნიშნავს იმთავითვე შტატების შემცირებას, არამედ რეორგანიზაცია გულისხმობს სტრუქტურულ და შინაარსობრივ ცვლილებებს.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი** დაინტერესდა იმის თაობაზე, თუ როგორია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხედვა დაგეგმილ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა გააკეთა განმარტება და გაიხსენა, წინასაარჩევნოდ გამართული ერთ-ერთი თვალსაჩინო პრეზენტაცია, რომელიც ემსახურებოდა "კარგი მმართველობის" (GoodGovernance) კონცეფციის დანერგვას, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კონკრეტული სამსახურების უფლებამოსილებებისა და ფუნქციების შესაბამისი, ხალხზე ორიენტირებული, ეფექტური სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომელსაც შემდგომში მოერგება მატერიალური და ადამიანური რესურსი.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანი** დაინტერესდა, ხომ არ იგეგმება სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხებიდან თბილისის ურბანული დაგეგმარების ფუნქციების გამოყოფა და მისი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბება.

ბატონი **სერგო ბირკაძის** განცხადებით ურბანული პოლიტიკის თვალსაზრისით, ასევე "კარგი მმართველობის"(GoodGovernance) პრინციპიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული თბილისის ურბანული დაგეგმარების საკითხებთან დაკავშირებით ცალკე სტრუქტურის/სამსახურის ჩამოყალიბება.

ქალბატონი **ლილე ლიპარტელიანის** საპასუხოდ ბატონმა სერგომ ასევე განაცხადა, რომ არ შეიცვლება სსიპ არქიტექტურის სამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა და აღნიშნული სამსახური დარჩება ქალქ თბილისის მუნიციპალიტეტის მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ ზემოხსენებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციების ანალიზის საფუძველზე, საჭიროებებისა და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე "კარგი მმართველობის"(GoodGovernance) პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყდება გაიზრდება თუ შემცირდება სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამშრომლების რაოდენობა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სხდომაზე წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის **შესაბამისი განკარგულებები**.

ამასთან, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ვინაიდან, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებათა პროექტები, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ ზემოხსენებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციების ანალიზის საფუძველზე, საჭიროებებისა და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე "კარგი მმართველობის"(GoodGovernance) პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყდება გაიზრდება თუ შემცირდება სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამშრომლების რაოდენობა.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სხდომაზე წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნოემბრის **შესაბამისი განკარგულებები.**

ამასთან, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ვინაიდან, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებათა პროექტები, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ~~ჟორჟოლიანი~~

ნინო ჯალაღანია

სხდომის მდივანი